

## შესყიდვის ობიექტია 2018-2019 -2020 წლების ფინანსური და საგადასახადო აუდიტი

მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შპს „იმერეთის აგრო ზონის“ აუდიტორული მომსახურება „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოში მოქმედი აუდიტორული სტანდარტების, აუდიტორის ეთიკის კოდექსის მოთხოვნებისა და ამ სფეროში მოქმედი სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.

- წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის IFRS (საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების) შესაბამისად.
- საგადასახადო რისკების შეფასება. საგადასახადო აუდიტი.
- საქმიანობის მიმოხილვის აუდიტი.

### მომსახურების აღწერა (ტექნიკური დავალება)

1. კომპანია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, წარმოადგენს მე-3 კატეგორიის საწარმოს. კომპანიამ ძირითადი საქმიანობა დაიწყო 2020 წელს. 2018, 2019 და 2020 წლების ბუღალტრული გატარებების ჯამური რაოდენობა შეადგენს 688 (ექვსას ოთხმოცდარვა) ერთეულს, ხოლო სახელმწიფო გრანტის სახით მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 2 630 000 (ორი მილიონ ექვსას ოცდაათი ათასი) ლარი. ამასთან აღრიცხვა ხდება სრული IFRS სტანდარტით.
  - წლიურ ფინანსური ანგარიშგების აუდიტი IFRS (საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების) შესაბამისად;
  - საგადასახადო რისკების შეფასება;
  - საგადასახადო აუდიტი;
  - საწარმოს ბალანსის აუდიტი;
  - მოგება-ზარალის უწყისის აუდიტი;
  - ფულადი ნაკადების მოძრაობის აუდიტი;
  - საწარმოს კაპიტალში ცვლილებების აუდიტი;
  - ძირითადი საშუალებების და მასთან დაკავშირებული ოპერაციების აუდიტი;
  - სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობა „ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს“ მიერ დამტკიცებულ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან“ (ფასს-თან).
2. აუდიტი ვალდებულია შემოწმების ობიექტის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირ(ებ)ს აუდიტის წარმოების პროცესში მისცეს რეკომენდაციები და გაასწორებინოს ფინანსური ანგარიშგები, ხოლო დასრულებისთანავე, გააცნოს და ჩააბაროს აუდიტორული დასკვნა.

## მომსახურების გაწევის ვადა

2018-2019-2020 წლის ფინანსური და საგადასახადო აუდიტორული მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს: ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 14 კალენდარული დღის განმავლობაში.

## ტექნიკური მოთხოვნები

მოთხოვნა პრეტენდენტის/პერსონალის გამოცდილების შესახებ

1. პრეტენდენტი უნდა იყოს რეგისტრირებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ წარმოებულ რეესტრში.
2. აუდიტორი, რომელიც უშუალოდ პასუხისმგებელი იქნება ზემოაღნიშნული აუდიტორული მომსახურების განხორციელებაზე, უნდა იყოს რეგისტრირებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ წარმოებულ რეესტრში.
3. პრეტენდენტს ბოლო 3 წლის (2018, 2019 და 2020 წელი) განმავლობაში უნდა ჰქონდეს ფინანსური და საგადასახადო აუდიტორული მომსახურების გაწევის გამოცდილება, ყოველწლიურად არანაკლებ 300 000 (სამასი ათასი) ლარის შესრულებით.
4. აუდიტორს (ჯგუფის შემთხვევაში მინიმუმ ერთს, რომელიც უნდა იყოს რეგისტრირებული ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის აუდიტორთა რეესტრში) უნდა გააჩნდეს ბუღალტრული და საგადასახადო მიმართლებით აუდიტორად მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება.
5. პრეტენდენტმა უნდა ატვირთოს მოვლინებული აუდიტორის, აუდიტორული შემოწმების ჯგუფის ხელმძღვანელისა ან/და ჯგუფში შემავალი აუდიტორ(ებ)ის CV-(ებ)ი, დადასტურებული შესაბამისი პირ(ებ)ის პირადი ხელმოწერით.

## სხვა დამატებითი მოთხოვნები

1. აუდიტორული დასკვნა, როგორც ელექტრონული ასევე ბეჭდური ვერსია უნდა იქნას წარმოდგენილი ქართულ და ინგლისურ ენებზე.